

## ინსტრუქცია (გზამკვლევი)

### 2013 წელს მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობები:

2009 წლიდან საქართველოს სამაგისტრო პროგრამებზე (გარდა საშემსრულებლო სპეციალობებისა) სწავლის გაგრძელების აუცილებელი პირობაა ორი გამოცდის ჩაბარება:

- საერთო სამაგისტრო გამოცდა (სსგ) (გამოცდას ატარებს ცენტრი);
- გამოცდა სპეციალობაში (გამოცდას ატარებს უმაღლესი სასწავლებელი).

სსგ-ის ფუნქციები:

- სსგ ამოწმებს აქვს თუ არა აპლიკანტს შესაბამის პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო მინიმალური შესაძლებლობები. სსგ-ში დადგენილი ზღვრების გადალახვა აუცილებელი პირობაა;
- სსგ-ზე მიღებული შედეგები შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მოცემულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში;
- სსგ-ის შედეგების მიხედვით ხდება სახელმწიფო დაფინანსების (გრანტის) განაწილება.

სსგ-ის ტესტის შემადგენელი ნაწილები, ჩატარების პერიოდი და ხანგრძლივობა:

სსგ-ის ტესტი შედგება ოთხი ნაწილისაგან:

- წაკითხულის გააზრება;
- ანალიტიკური წერა;
- ლოგიკა;
- რაოდენობრივი მსჯელობა.

2013 წელს გამოცდის ჩატარება იგეგმება ივლისში:

- პირველ დღეს ჩატარდება გამოცდა პირველ ორ ნაწილში (წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა);
- მეორე დღეს კი - დარჩენილ ორ ნაწილში (ლოგიკა, რაოდენობრივი მსჯელობა).

თითოეულ დღეს ორივე ნაწილში ერთად გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ და 20 წთ იქნება (თითოეული ნაწილისათვის - 1 სთ და 10 წთ).

სსგ-ის დავალებათა რაოდენობა ტესტის ნაწილების მიხედვით, კომპეტენციის მინიმალური ზღვრები, შეფასების სისტემა და სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების აუცილებელი პირობა:

საგამოცდო ტესტის წაკითხულის გააზრების ნაწილში ნავარაუდევია 20 – 23 დავალების შეთავაზება,

ანალიტიკურ წერაში - 2 დავალების,

ლოგიკის ნაწილში - 17-ის,

ხოლო რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილში - 20-ის.

კომპეტენციის მინიმალური ზღვარი თითოეულ ნაწილში, გარდა რაოდენობრივი მსჯელობისა, შეადგენს ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 30%-ს, ხოლო რაოდენობრივ მსჯელობაში - ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 25%-ს.

✓ მოცემულ ნაწილში აპლიკანტის მიერ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ჩათვლება გადალახულად, თუ მან დააგროვა ამ ნაწილის შესაბამისი მაქსიმალური შესაძლო ქულის დადგენილ ზღვარზე მეტი).

სსგ-ის ტესტის სამი ნაწილის (წაკითხულის გააზრება, ლოგიკა, რაოდენობრივი მსჯელობა) თითოეულ დავალებას ახლავს 5 ან 6 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

➤ თითოეული დავალება ფასდება 1, 0, ან -0,2 ქულით. სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა, თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა, ხოლო არასწორად გაცემული პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

რაც შეეხება ტესტის ანალიტიკური წერის კომპონენტის ორ დავალებას, თითოეული მათგანი სწორდება წინასწარ დადგენილი სქემის მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კონკურსში მონაწილეობის გაგრძელებისათვის აუცილებელია სსგ-ის ბარიერის დაძლევა, რაც გულისხმობს საგამოცდო ტესტის 4 ნაწილიდან რომელიმე 3-ში მაინც კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვას. ამასთან, უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია:

ა) თვითონ დააწესოს ის 3 ნაწილი, რომლებშიც მოითხოვს კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვას;

ბ) მოითხოვოს მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა ტესტის ოთხივე ნაწილში;

გ) დააწესოს კომპეტენციის უფრო მაღალი მინიმალური ზღვარი ტესტის ერთი, რამდენიმე, ან ყველა ნაწილისათვის.

## **სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პრინციპი:**

უმაღლეს სასწავლებელს უფლება აქვს სსგ-ის ბარიერდაძლეული აპლიკანტები სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხოს მხოლოდ სპეციალობაში შეფასებული გამოცდის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასწავლებელი საჭიროდ მიიჩნევს ჩარიცხვისას სსგ-ის შედეგების გათვალისწინებას, სსგ-ს და სპეციალობის გამოცდას ანიჭებს გარკვეულ კოეფიციენტებს (რომელთა ჯამი 100-ის ტოლი უნდა იყოს). ამასთან, სსგ-სათვის მინიჭებული კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 35-სა და არაუმეტეს 65-ის ტოლი. სსგ-სათვის მინიჭებული კოეფიციენტი უნდა ნაწილდებოდეს ტესტის ოთხივე ნაწილზე (თითოეული ნაწილისათვის მისანიჭებულ კოეფიციენტს განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ ეს კოეფიციენტი, თითოეული ნაწილისათვის, არანაკლებ 5-ის ტოლი უნდა იყოს).

## **სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის საკონკურსო ქულის დაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპის მიხედვით:**

სსგ-ის თითოეული ნაწილისა და სპეციალობაში გამოცდის ნორმირებული ქულები (მიღებული შეფასება გაყოფილი მაქსიმალურ ქულაზე) მრავლდება შესაბამის კოეფიციენტებზე და ჯამდება.

## **საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლების მოპოვება და საგრანტო ქულის დაანგარიშების წესი:**

- ✓ საგრანტო კონკურსში მონაწილეობენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის კონკურსი.
- ✓ მაგისტრანტობის მსურველის საგრანტო ქულა წარმოადგენს მის მიერ ტესტის ოთხივე ნაწილში მიღებულ ნორმირებულ ქულათა ჯამს (გამრავლებულს გარკვეულ, ფიქსირებულ, მთელ დადებით რიცხვზე).

## **სიახლე**

2013 წლამდე საერთო სამაგისტრო გამოცდა გულისხმობდა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა ტესტირებას ოთხი ნაწილისაგან (წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკა, რაოდენობრივი მსჯელობა) შემდგარი ერთი საგამოცდო ტესტის მიხედვით. მაგალითად, ჰუმანიტარული ან, აგრარული მიმართულებით სწავლის გაგრძელების მსურველს საგამოცდო ტესტის ლოგიკისა და რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილებში უნდა გაეცა პასუხი იმავე კითხვებზე,

რომლებზეც, ვთქვათ, საბუნებისმეტყველო ან საინჟინრო მიმართულებით სწავლის გაგრძელების მსურველს.

გადაწყდა, რომ 2013 წლიდან საერთო სამაგისტრო გამოცდებზე, მიმართულებების მიხედვით, შეთავაზებული იქნება განსხვავებული დავალებები. კერძოდ, 2013 წელს გამოცდაზე გატანილი იქნება ხუთი სხვადასხვა - A, B, C, D და E - ტიპის ტესტი. მაგისტრანტობის თითოეულმა მსურველმა ამ ხუთიდან გამოცდაზე უნდა შეასრულოს მხოლოდ ერთი ტიპის ტესტი.

ტესტის ტიპს აპლიკანტი ირჩევს თვითონ ქვემოთ მოცემული წესის მიხედვით (იხ. „რეგისტრაციის დროს საგამოცდო ტესტის ტიპის შერჩევა“):

A, B, C, D და E - ტიპის ტესტებიდან თითოეული, ისევე, როგორც გასულ წლებში, შედგენილი იქნება კვლავ ოთხი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია: წაკითხულის გააზრება; ანალიტიკური წერა; ლოგიკა; რაოდენობრივი მსჯელობა. განვიხილოთ ეს ნაწილები ცალ-ცალკე.

**წაკითხულის გააზრება** - ტესტის ეს ნაწილი ხუთივე - A, B, C, D და E - ტიპის ტესტში ერთი და იგივე იქნება.

**ანალიტიკური წერა** - 2013 წელს გამოცდაზე გავა ანალიტიკური წერის ნაწილის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტი (ისე, როგორც ეს იყო გასულ წლებში) შედგენილი იქნება ორი კომპონენტისაგან: „თვალსაზრისის დასაბუთება“ და „მსჯელობის კრიტიკა“, ხოლო მეორე ვარიანტი - შემდეგი ორი კომპონენტისაგან: „მსჯელობის კრიტიკა“ და „გადაწყვეტილების დასაბუთება“ (ეს უკანასკნელი წარმოადგენს ახალი ტიპის დავალებას, რაც არ იყო წინა წლებში).

**ლოგიკა** - ტესტის ამ ნაწილში 2013 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდაზე შეთავაზებული იქნება ორი სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც განსხვავებული იქნება სირთულის მიხედვით.

**რაოდენობრივი მსჯელობა** - 2013 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდაზე გატანილი იქნება რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილის ასევე ორი სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც, აგრეთვე, განსხვავებული იქნება სირთულის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ №1 ცხრილში მოცემულია ზემოთ ნახსენები ხუთი სხვადასხვა ტიპის ტესტისა და მათი შემადგენელი ნაწილების აღწერა.

*შენიშვნა:*

ა) „წაკითხულის გააზრების სვეტში“ R1 აღნიშნავს ამ ნაწილის იმ ერთადერთ ვარიანტს, რომელიც ერთი და იგივეა ხუთივე ტიპის ტესტში.

ბ) „ანალიტიკური წერის სვეტში“ A1 აღნიშნავს ამ ნაწილის იმ ვარიანტს, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „თვალსაზრისის დასაბუთება“ და „მსჯელობის

კრიტიკა“, ხოლო A2 - ამ ნაწილის იმ ვარიანტს, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „მსჯელობის კრიტიკა“ და „გადაწყვეტილების დასაბუთება“.

გ) „ლოგიკის“ (შესაბამისად, „რაოდენობრივი მსჯელობის“) სვეტში L1 (შესაბამისად, Q1) აღნიშნავს ამ ნაწილის შედარებით მარტივ ვარიანტს, ხოლო L2 (შესაბამისად, Q2) - ამავე ნაწილის შედარებით რთულ ვარიანტს.

### ცხრილი №1

ტესტის ტიპი	წაკითხულის გააზრება	ანალიტიკური წერა	ლოგიკა	რაოდენობრივი მსჯელობა
A	R1	A1	L1	Q1
B	R1	A1	L2	Q1
C	R1	A1	L1	Q2
D	R1	A2	L2	Q1
E	R1	A1	L2	Q2

მაგალითისათვის, D ტიპის ტესტი შედგება: ა) წაკითხულის გააზრების იმ ერთადერთი ვარიანტისაგან, რომელიც ერთი და იგივეა ხუთივე ტიპის ტესტში, ბ) ანალიტიკური წერის იმ ვარიანტისაგან, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „მსჯელობის კრიტიკა“ და „გადაწყვეტილების დასაბუთება“, გ) ლოგიკის ნაწილის შედარებით რთული ვარიანტისაგან და დ) რაოდენობრივი მსჯელობის შედარებით მარტივი ვარიანტისაგან.

#### რეგისტრაციის დროს საგამოცდო ტესტის ტიპის შერჩევა:

უახლოეს ხანში გამოქვეყნდება ცხრილი, სადაც ყოველი კონკრეტული სამაგისტრო პროგრამისათვის მითითებული იქნება საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ის ტიპი (A, B, C, D ან E), რომლის ჩაბარებაც აუცილებელი იქნება მოცემულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად.

განაცხადის შევსებისას აპლიკანტმა აუცილებლად უნდა მიუთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდის ის ტიპი (ანუ ზუსტად ერთი - A, B, C, D ან E ასოებიდან), რომელიც, აღნიშნული ცხრილის მიხედვით, (ცალსახად) შეესაბამება აპლიკანტის მიერ არჩეულ სამაგისტრო პროგრამას.

*საერთო სამაგისტრო გამოცდაზე აპლიკანტს მოუწევს სწორედ მის მიერ ამ წესის მიხედვით დაფიქსირებული ტიპის ტესტის შესრულება.*

#### საგრანტო კონკურსი - სიახლეები 2013 წლისათვის:

- სახელმწიფო გრანტი გაიცემა მხოლოდ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებზე სსგ-ის შედეგების მიხედვით;

- კონკურსში გამარჯვებული ის აპლიკანტები, რომელთაც სურვილი აქვთ გააგრძელონ სწავლა ისეთ სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც სწავლის ღირებულება არ აღემატება 2250 ლარს, სწავლის ორი წლის მანძილზე ფინანსდებიან სრულად;
- დანარჩენ შემთხვევებში გამარჯვებულ აპლიკანტებს გრანტის სახით წელიწადში (სწავლის ორი წლის მანძილზე) ეძლევათ 2250 ლარი.
- ისევე როგორც გასულ წლებში, 2013 წელსაც დადგენილია 11 საგანმანათლებლო მიმართულება.
- ყოველი სამაგისტრო პროგრამა მიეკუთვნება რომელიმე ერთს ამ მიმართულებათაგან (მიმართულებათა ეს ნუსხა მცირედით განსხვავდება 2012 წლის ანალოგიური ნუსხისაგან).

თითოეული მიმართულებისათვის დადგენილია მთელი თანხის ის ნაწილი, რითაც ეს მიმართულება დაფინანსდება. კერძოდ, გრანტის მთელი მოცულობის 40% თანაბრად გადანაწილდება ყველა მიმართულებაზე (თითოეული მიმართულებისათვის ეს შეადგენს დაახლოებით 3,64%-ს), ხოლო დარჩენილი 60% კი (განსხვავებით 2012 წლისაგან) განაწილდება ე.წ. პრიორიტეტების მიხედვით. საერთო ჯამში თითოეული მიმართულებისათვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრება ამ 40 და 60 პროცენტიდან გამოყოფილი თანხების ჯამით.

საგრანტო კონკურსში ერთმანეთს შეეჯიბრებიან მხოლოდ ის აპლიკანტები, რომელთა მიერ არჩეული სამაგისტრო პროგრამები ერთი და იმავე მიმართულებას მიეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ ყოველ კონკრეტულ მიმართულებაში მოხვედრილ თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები აბარებენ ერთსა და იმავე ტიპის ტესტს (თუმცა არსებობს რამდენიმე სხვადასხვა მიმართულება, სადაც ერთი და იმავე ტიპის ტესტი ბარდება).

ქვემოთ მოცემულ №2 ცხრილში მოყვანილია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მთელი საგრანტო თანხის განაწილება როგორც თანაბარი პრინციპით (40%), ასევე პრიორიტეტების მიხედვით (60%). ამავე ცხრილში, ყოველი კონკრეტული მიმართულებისათვის, მითითებულია სსგ-ის ტესტის ის ტიპი, რომელსაც აბარებენ მოცემულ მიმართულებაში მოხვედრილ სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარების მსურველები.

მიმართულება	ტესტის ტიპი	თანხის განაწილება		
		მთელი თანხის 40%-ის თანაბრად განაწილება	მთელი თანხის 60%-ის განაწილება მიმართულებების მიხედვით	მთელი თანხის პროცენტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა)	A	3,64%	9,00%	12,64%
ჯანდაცვა	A	3,64%	1,00%	4,64%
ჰუმანიტარული	A	3,64%	6,00%	9,64%
ხელოვნება	A	3,64%	0,50%	4,14%
აგრარული	A	3,64%	1,00%	4,64%
განათლება	A	3,64%	6,00%	9,64%
სოციალური მეცნიერებები	B	3,64%	8,50%	12,14%
საინჟინრო	C	3,64%	9,50%	13,14%
სამართალი	D	3,64%	3,00%	6,64%
მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფიზიკა	E	3,64%	10,50%	14,14%
ბიზნესი და ეკონომიკა	E	3,64%	5,00%	8,64%

**შენიშვნა.** ცხრილში მოცემული რიცხვები დამრგვალებულია მესამე დამდე სიზუსტით.

**ქულების შენახვის წესი.**

მაგისტრანტობის იმ კანდიდატებს, რომლებმაც სსგ ჩააბარეს 2011 წელს, შეუძლიათ მიღებული ქულები 2013 წელს გამოიყენონ როგორც ჩარიცხვის, ასევე საგრანტო კონკურსში.

მაგისტრანტობის იმ კანდიდატებს, რომლებმაც სსგ ჩააბარეს 2012 წელს, შეუძლიათ მიღებული ქულები 2013 წელს გამოიყენონ ჩარიცხვის კონკურსში.

2013 წლიდან საერთო სამაგისტრო გამოცდის ქულები აღარ ინახება!

## რეგისტრაცია საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის

2013 წელს მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციას მხოლოდ ინტერნეტით, გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გაივლიან ([www.naec.ge](http://www.naec.ge); [online.naec.ge](http://online.naec.ge));

რეგისტრაცია 5 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით იწარმოებს.

**ინტერნეტით რეგისტრაცია:**

ინტერნეტით რეგისტრაციისათვის მაგისტრანტობის კანდიდატები უნდა ჰქონდეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი, აგრეთვე მან უნდა გადაიხადოს გამოცდაში მონაწილეობის საფასური (გადახდის ფორმები აღწერილია ქვემოთ).

1. მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს (ან უნდა შექმნას) ელექტრონული ფოსტის მისამართი.
2. ინტერნეტით რეგისტრაციას მაგისტრანტობის კანდიდატები გადის ვებგვერდზე [www.naec.ge](http://www.naec.ge) ან [online.naec.ge](http://online.naec.ge).

დამატებითი ინსტრუქციები რეგისტრაციის დაწყებისთანავე განთავსდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე [www.naec.ge](http://www.naec.ge).

**გადახდის შესაძლო საშუალებები და საბანკო მომსახურების გადასახადი:**

- 1) საქართველოს ბანკის სერვის ცენტრები - 0,5 ლარი;
- 2) ვებგვერდზე ipay.ge - 1 ლარი;
- 3) „აიფეის“ აგენტების ქსელში (საჯარო რეესტრის სააგენტოებში) - 0.5 ლარი;
- 4) „საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით - 1 ლარი;
- 5) საქართველოს ბანკის ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით - [ibank.ge](http://ibank.ge) - 1 ლარი.

გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს აპლიკანტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) სერია და ნომერი. ერთი საგნის გამოცდის ჩაბარების საფასურია **50 ლარი**.

**აბიტურიენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 5 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით.**

საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია აღნიშნულ ვადებში უნდა გაიარონ. სარეგისტრაციო ვადის ამოწურვის შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატები ვეღარ დარეგისტრირდებიან.



**გაითვალისწინეთ:**

- არ გაანდოთ სხვას ელექტრონული ფოსტით მიღებული პაროლი. მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი სარეგისტრაციო ანკეტაში მითითებული მონაცემების სისწორესა და შემდგომ მასში განხორციელებულ ცვლილებებზე;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ მაგისტრანტობის იმ კანდიდატებს, რომლებსაც სურთ სწავლის გაგრძელება საღვთისმეტყველო, საშემსრულებლო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამებზე.

*საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მაგისტრის დიპლომის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს.*

გამოცდების ეროვნული ცენტრი მაგისტრანტობის თითოეულ კანდიდატს უსურვებს წარმატებას საერთო სამაგისტრო გამოცდაზე.